

ვენა ერენდები

ახმაანი
იერუსალიმში

ანგარიში ბოროტეპის ბანაღურობაზე

ჰანა არენდტი
აიხმანი იერუსალიმში
ანგარიში ბოროტების ბანალურობაზე

Hannah Arendt
EICHMANN IN JERUSALEM
A Report on the Banality of Evil

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



მწერალთა
სახლი

ნიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© Hannah Arendt, 1963, 64

All rights reserved including the right of reproduction in whole or in part in any form.

This edition published by arrangement with Viking, an imprint of Penguin Publishing Group, a division of Penguin Random House LLC

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-787-9

www.diogene.ge

ო, გერმანია...

იმის გაგონებისას, რასაც შენს სახლში ამბობენ, ყველას ეცინება,
მაგრამ შენთან შეხვედრისას ყველა იარაღს სტაცებს ხოლმე ხელს.

პერტოლტ ბრეხტი

სარჩევი

1. მართლმსაჯულების სახლი	9
2. ბრალდებული.....	35
3. ებრაული საკითხის ექსპერტი.....	55
4. პირველი გადანყვეტილება: განდევნა.....	82
5. მეორე გადანყვეტილება: კონცენტრაცია.....	98
6. საბოლოო გადანყვეტილება: დახოცვა	119
7. ვანზეეს კონფერენცია, ანუ პილატე პონტოელი.....	158
8. კანონმორჩილი მოქალაქის მოვალეობები	189
9. დეპორტაცია რაიხიდან – გერმანიიდან, ავსტრიიდან და პროტექტორატიდან.....	210
10. დეპორტაცია დასავლეთ ევროპიდან – საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, იტალიიდან.....	225
11. დეპორტაცია ბალკანეთიდან – იუგოსლავიიდან, ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან	250
12. დეპორტაცია ცენტრალური ევროპიდან – უნგრეთიდან და სლოვაკეთიდან	268
13. მკვლევლობათა ცენტრები აღმოსავლეთში	283
14. მტკიცებულებები და მონმეები.....	302
15. განაჩენი, აპელაცია და სიკვდილით დასჯა	320
ეპილოგი	346
პოსტსკრიპტუმი	384

1. მართლმსაჯულების სახლი

„Beth Hamishpath“ (მართლმსაჯულების სახლი) – ყვირის სასამართლოს ბოქაული. სწრაფად ვდგებით ფეხზე, რადგან ბოქაულის წამოძახილი იმას ნიშნავს, რომ საცაა, დარბაზში მოსამართლეები შემოვლენ. მართლაც, გვერდითა კარიდან სამი თავშიშველი, შავ მანტიაში გამოწყობილი მოსამართლე შემოდის. ისინი საფეხურებიანი ტრიბუნის ზედა რიგში გრძელ მაგიდასთან სხდებიან. მაგიდის (რომელზეც მალე დააწყობენ უამრავ წიგნსა და ათას ხუთასზე მეტ დოკუმენტს) ორივე ბოლოში სტენოგრაფისტები სხედან. უშუალოდ მოსამართლეების ქვემოთ დგანან თარჯიმნები, რომელთა მომსახურება საჭიროა, ერთი მხრივ, ბრალდებულის ან მისი ადვოკატის, მეორე მხრივ კი, მოსამართლეთა ურთიერთობისთვის. სასამართლო პროცესი ივრითზე მიმდინარეობს, ამიტომ გერმანულენოვანი ბრალდებულისა და დამსწრე საზოგადოებაც ყურსასმენებით არიან შეიარაღებული. მათში შესანიშნავი ფრანგული, მეტ-ნაკლებად რიგიანი ინგლისური და – რაც ძალზე კომიკურია – სრულიად გაუგებარი გერმანული თარგმანი გაისმის (პროცესი საგულდაგულოდ მზადდებოდა, მაგრამ რაღაც იდუმალი მიზეზის გამო ისრაელის ახალ სახელმწიფოში, გერმანიაში დაბადებული მოქალაქეების სიმრავლის მიუხედავად, ვერ იპოვეს განაფული თარჯიმანი, ვინც რეპლიკების სრულყოფილად თარგმნას შეძლებდა გერმანულად –

ერთადერთ ენაზე, რომელიც ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა იციან. ასეთი გერმანულის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო გერმანულ ებრაელთა მიმართ ანტიპათია, რომელიც უნინ იყო გავრცელებული ისრაელში, ამჟამად კი თითქმის აღარ შეინიშნება. უფრო სავარაუდოა, რომ ამის მიზეზია „ვიტამინ P“-ს – ისრაელში ასე უწოდებენ სამთავრობო წრეებსა და ბიუროკრატიულ სისტემაში გავრცელებულ პროტექციონიზმს – კიდევ უფრო ძველი, მაგრამ კვლავაც ძლიერი გავლენა). თარჯიმნების ქვემოთ ერთმანეთის პირისპირ მინის ორი ჯიხურია ბრალდებულისა და მოწმეებისთვის – დამსწრე საზოგადოება მხოლოდ მათ პროფილებს ხედავს. ბოლოს, ქვედა რიგში, ზის დარბაზისკენ ზურგმექცეული პროკურორი, თავის ოთხ თანაშემწესთან ერთად და ადვოკატი, რომელსაც პროცესის მიმდინარეობის პირველი კვირების განმავლობაში მხოლოდ ერთი თანაშემწე ჰყავდა.

მოსამართლეთა ქცევაში არაფერია თეატრალური. ისინი ძალდაუტანებლად, თავისუფლად იქცევიან. კეთილგანწყობით და ყურადღებით უსმენენ მოწმეებს, შესამჩნევად იძაბებიან, როდესაც ხალხის ტანჯვა-წამების ამბებს იგებენ და ეს სავესებით ბუნებრივია; როდესაც პროკურორი პროცესის უსასრულოდ გაჭიანურებას ცდილობს, მოსამართლეები უნებურად ღიზიანდებიან, რასაც გამოცოცხლება შეაქვს დარბაზში; მათი დამოკიდებულება ადვოკატისადმი მეტისმეტად თავაზიანია – ისინი თითქოს გამუდმებით ახსენებენ საკუთარ თავს, რომ „დოქტორი სერვატიუსი თითქმის მარტოდმარტო ეწევა ურთულეს ბრძოლას მისთვის უცხო გარემოში“; მათი ქცევა ბრალდებულის მიმართ უზადოა. სამივენი აშკარად წესიერი და პატიოსანი ადამიანები არიან და არც ერთი არ აპყობს უდიდეს ცდუნებას, ტექნიკური ხარვეზების გამო მოთმინებიდან გამოსულიყო: ისინი დაიბადნენ და განათლება მიიღეს გერმანიაში, მაგრამ მოთმინებით ისმენდნენ ჩვენებების თარგმანს ივრითზე. სასამართლოს თავმჯდომარე მოშე ლანდაუ ძლივს იკავებს თავს რეპლიკებისგან, სანამ თარჯიმანი თარგმნას დაამთავრებს;

ხშირად ერევა თარგმანში, ასწორებს და აუმჯობესებს მას და ამ-
კარად შვებას გრძნობს, როცა შეუძლია, ცოტა ხნით მაინც დაი-
ვინყოს უსიამოვნო ვითარება, რომელშიც იმყოფება. ერთი თვის
შემდეგ, ბრალდებულის ჯვარედინი დაკითხვის დროს, მან თავისი
კოლეგები აიძულა კიდევ, რომ აიხმანთან მშობლიურ გერმანულ
ენაზე ელაპარაკათ, რამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა – თუკი ამის
დამტკიცება საჭირო იყო – რომ ლანდაუ არავითარ ყურადღებას
არ აქცევდა ისრაელის საზოგადოებრივ აზრს.

იმთავითვე აშკარაა, რომ აქ მთავარ როლს მოსამართლე
ლანდაუ ასრულებს და რომ ის, გარეგნული ეფექტების მოყვა-
რული პროკურორისგან განსხვავებით, ყოველ ღონეს ხმარობს,
რათა სასამართლო პროცესი შოუდ არ გადაიქცეს. და თუ ლან-
დაუს მცდელობები ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება, ეს
მხოლოდ იმიტომ, რომ თვით პროცესი ამალღებულ ადგილას,
ერთგვარ სცენაზე, მიმდინარეობს, ხოლო ყოველი სხდომის და-
საწყისში ბოქაულის საოცარი ყვირილი თითქოს ფარდის აწევას
მოასწავებს. მას, ვინც ეს დარბაზი დააპროექტა ახალაშენებულ
Beth Ha'am-ში – სახალხო სახლში (ახლა ამ შენობას, რომელიც
მაღალი ლობითაა გარშემორტყმული, სახურავიდან სარდაფებამ-
დე შეიარაღებული პოლიციელები იცავენ. შესასვლელთან, ხის
ბარაკებში, სასამართლოზე დასწრების მსურველებს საგულდა-
გულოდ ჩხრეკენ), თეატრის დარბაზი ჰქონდა ჩაფიქრებული –
საორკესტრო ორმოთი, პროსცენიუმით, სცენით, ასევე გვერდი-
თი კარებით მსახიობთა შემოსასვლელად. აშკარაა, რომ ისრაე-
ლის პრემიერ-მინისტრს, დავიდ ბენ-გურიონს, სურდა, სწორედ ამ
დარბაზში მოეწყო აიხმანის გასამართლების საჩვენებელი პრო-
ცესი, როდესაც არგენტინიდან მისი მოტაცება და იერუსალიმის
საოლქო სასამართლოში მიყვანა ჩაიფიქრა, რათა მას პასუხი ეგო
თავის როლის გამო „ებრაული საკითხის საბოლოოდ გადანყვეტა-
ში“. და ბენ-გურიონი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „სა-
ხელმწიფოს არქიტექტორს“, ამ პროცესის უჩინარი რეჟისორია.

ის არც ერთ სხდომას არ დასწრებია და სწორედ მის თვალსაზრისს გამოხატავს გენერალური პროკურორი გიდეონ ჰაუზნერი, რომელიც, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, მთლიანად თავის ბატონს ემორჩილება. და თუკი, საბედნიეროდ, ჰაუზნერის მცდელობები ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება, მხოლოდ იმიტომ, რომ სასამართლოს თავმჯდომარეა ადამიანი, რომელიც ისევე ერთგულად ემსახურება მართლმსაჯულებას, როგორც ბატონი ჰაუზნერი ემსახურება თავის სახელმწიფოს. მართლმსაჯულება მოითხოვს, რომ მოპასუხეს ბრალდებები წაუყენონ, რომ ის დაიცვან და განაჩენი გამოუტანონ, დანარჩენი საკითხები კი, რომლებიც თითქოს უფრო მნიშვნელოვანია: „როგორ მოხდა ეს?“, „რატომ მოხდა?“, „რატომ სწორედ ებრაელები?“ და „რატომ სწორედ გერმანელები?“, „რა როლს ასრულებდნენ სხვა ხალხები?“, „როგორია მოკავშირეთა ერთობლივი პასუხისმგებლობა?“, „როგორ მოხდა, რომ ებრაელები თავიანთი ლიდერების მეშვეობით თვითონვე მონაწილეობდნენ საკუთარ განადგურებაში?“, „რატომ იხოცებოდნენ ცხვრებივით მორჩილად?“ – ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. მართლმსაჯულება მოითხოვს, რომ პროცესის ცენტრში იყოს კარლ ადოლფ აიხმანის ვაჟი ადოლფ აიხმანი – ადამიანი, რომელიც მის დასაცავად აგებულ მინის ჯიხურში იმყოფება: საშუალო სიმაღლისა, კაფანდარა, შუახნისა, მელოტი, ახლომხედველი, მეჩხერკბილებიანი – სწორედ ის პიროვნება, რომელიც მთელი პროცესის განმავლობაში თავის გაძვალტყავებულ კისერს მოსამართლეთა ძელსკამისკენ იწვდენდა (დამსწრე საზოგადოებისკენ ერთხელაც არ შებრუნებულა) და რომელიც თავგამეტებით და ძირითადად წარმატებით ინარჩუნებდა სიმშვიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ტუჩები ნერვიულად ეკრუნჩხებოდა. თუმცა, შესაძლოა, ეს ნერვიული კრუნჩხვა აიხმანს სასამართლომდე დიდი ხნით ადრე დასჩემდა. სასამართლოზე მის ქმედებებს განსჯიან და არა ებრაელთა ტანჯვა-წამებას, გერმანელ ხალხს ან კაცობრიობას, არც თვით ანტისემიტიზმსა და რასიზმს.

და მართლმსაჯულება (რომელიც, შესაძლოა, აბსტრაქცია იმათთვის, ვინ ბატონი ბენ-გურიონის მსგავსად აზროვნებს) ამტკიცებს, რომ ის გაცილებით უფრო უღმობელი მეუფეა, ვიდრე პრემიერ-მინისტრი, მთელი თავისი ძალაუფლებით. მისგან განსხვავებით, სახელმწიფო, როგორც მალევე გამოააშკარავა ბატონმა ჰაუზნერმა, საკმაოდ შემწყნარებელია: ის უფლებას აძლევს პროკურორს, პროცესის მიმდინარეობის დროს პრესკონფერენციები ჩაატაროს და ტელეინტერვიუებზე დათანხმდეს (ამერიკულ პროგრამას, რომლის სპონსორია გლიკმანის კორპორაცია, ხშირად წყვეტს უძრავი ქონების რეკლამა – რას იზამ, ბიზნესი ბიზნესია); იმის უფლებასაც კი აძლევს, რომ სასამართლოს დარბაზში შეგროვილი რეპორტიორების წინაშე „სპონტანური“ აღშფოთება გაითამაშოს – ის ხომ ძალზე დაქანცა ჯვარედინმა დაკითხვამ აიხმანისა, რომელიც ყოველი კითხვის პასუხად ცრუობს; სწორედ სახელმწიფოს წყალობითაა, რომ პროკურორი თავს უფლებას აძლევს, დროდადრო ალმაცერად გადახედოს დამსწრე საზოგადოებას. ვულგარული პატივმოყვარეობის დამადასტურებელმა ამ ქცევამ საბოლოო ტრიუმფს მაშინ მიაღწია, როდესაც ბატონ ჰაუზნერს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეთრ სახლში მოუწონა „რიგიანად შესრულებული სამუშაო“. მაგრამ მართლმსაჯულება ამგვარ ქცევას კრძალავს; ის იზოლაციას მოითხოვს; მისთვის დასაშვებია მწუხარება, მაგრამ არა მრისხანება; სასამართლოზე აუცილებელია თავის შეკავება იმ სიამოვნებისგან, რომელსაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევა გვანიჭებს ხოლმე. პროცესის შემდეგ მოსამართლე ლანდაუ შეერთებულ შტატებს ეწვია, რასაც საზოგადოების ყურადღება არ მიუპყრია – გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ ებრაული ორგანიზაციები, რომელთა მცდელობების შედეგადაც ეს ვიზიტი განხორციელდა.

მაგრამ როგორც უნდა ეცადონ მოსამართლეები ჩრდილში დარჩენას, ისინი აქ, ზედა რიგში, პირით ჩვენკენ სხედან, თითქოს სცენაზე მყოფი მსახიობები იყვნენ. იგულისხმება, რომ დამსწრე

საზოგადოება მთელ კაცობრიობას უნდა წარმოადგენდეს. პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში ის მართლაც ძირითადად იერუსალიმში დედამიწის ოთხივე კუთხიდან ჩამოსული ჟურნალისტებისგან შედგებოდა, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე არანაკლებ სენსაციურ სპექტაკლს უნდა დასწრებოდნენ, ოღონდ ახლა „მთავარ საკითხად მთელი ებრაელი ხალხის ტრაგედია იქცა“. და „თუკი ჩვენ მას [აიხმანს] არაებრაელთა წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტმოქმედებებშიც დავადანაშაულებთ... ეს იმიტომ არ მოხდება, რომ მან ეს ბოროტმოქმედებები ჩაიდინა“, არამედ – რა უცნაურიც უნდა იყოს – „იმიტომ, რომ ჩვენთვის არ არსებობს ეთნიკური განსხვავებები“. ეს მართლაც შესანიშნავი ფრაზა პროკურორმა ჯერ კიდევ თავის შესავალ სიტყვაში წარმოთქვა და ის ძირითად დებულებად იქცა ბრალდებისთვის. რადგან მთელი ბრალდება ებრაელთა ტანჯვა-წამების ფაქტებს ემყარებოდა და არა აიხმანის მოქმედებებს. ბატონი ჰაუზნერის თანახმად, ეს სრულიად უმნიშვნელო განსხვავებაა, ვინაიდან „არსებობდა ერთადერთი ადამიანი, რომელიც თითქმის მთლიანად განკარგავდა ებრაელთა ბედ-იღბალს, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მათი განადგურება და რომლის როლი რეჟიმის დამყარებაში ამით ამოიწურებოდა. ეს იყო ადოლფ აიხმანი“. ასეთ შემთხვევაში, განა ლოგიკური არ იქნებოდა, რომ სასამართლოსთვის წარედგინათ ებრაელთა ტანჯვის დამადასტურებელი ყველა ფაქტი (რომლებსაც, რასაკვირველია, არავინ უარყოფს) და შემდგომ განხილულიყო ამ ფაქტებთან აიხმანის კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები? ნიურნბერგის პროცესზე, როდესაც ბრალდებულებს „სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებებში ადანაშაულებდნენ“, ებრაელი ხალხის ტრაგედია არ განხილულა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აიხმანი იქ არ იმყოფებოდა.

ნუთუ ბატონ ჰაუზნერს მართლაც სჯეროდა, რომ ნიურნბერგის პროცესზე აიხმანის ყოფნის შემთხვევაში ებრაელთა ბედ-იღბალი უფრო სერიოზულ ყურადღებას დაიმსახურებდა? ალბათ,

არა. ისრაელის თითქმის ყველა მოქალაქის მსგავსად, ისიც დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ებრაულ სასამართლოს ძალუძდა ებრაელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა განსჯა და რომ მხოლოდ ებრაელებს უნდა გაესამართლებინათ თავიანთი მტრები. სწორედ აქედან გამომდინარეობდა თითქმის ერთსულოვანი მტრული დამოკიდებულება საერთაშორისო სასამართლოს მიმართ, რომელიც აიხმანს დაადანაშაულებდა არა „ებრაელი ხალხის წინააღმდეგ“ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში, არამედ იმ დანაშაულებშიც, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი. ამიტომაც ნაიტ-რაბახა პროკურორმა: „ჩვენთვის არ არსებობს ეთნიკური განსხვავებები“, რასაც არც ისე უცნაურად გაუჟღერია ისრაელში, რადგან ებრაელი მოქალაქის პირად სტატუსს აქ რაბინული კოდექსი განსაზღვრავს. ამ კოდექსის ძალით, არც ერთ ებრაელს არ აქვს არაებრაელზე დაქორწინების უფლება; საზღვარგარეთ დაოჯახებულ წყვილთა ქორწინება კანონიერად ითვლება, მაგრამ შერეული ქორწინებების შედეგად გაჩენილ ბავშვებს უკანონო შვილებად აღიარებენ (თუმცა, თუ დაუქორწინებელ წყვილში ორივე მშობელი ებრაელია, მათი შვილები კანონიერ მემკვიდრეებად მიიჩნევიან). და თუ ისე მოხდა, რომ მავან პიროვნებას არაებრაელი დედა ჰყავდა, მას არც ქორწინების უფლება აქვს და არც სამშობლოში დამარხვისა. ამგვარი ვითარებით უკმაყოფილება ძალზე გამწვავდა 1953 წლის შემდეგ, როდესაც საოჯახო სამართლის საკითხთა იურისდიქცია, მნიშვნელოვანწილად, სამოქალაქო სასამართლოებს გადაეცა. ამჟამად ისრაელში ქალები ქონებას მემკვიდრეობით იღებენ და ძირითადად იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორცაც მამაკაცები. შესაბამისად, სარწმუნოების პატივისცემა ან ფანატიკური რელიგიური უმცირესობის გავლენა სულაც არ უშლის ხელს ისრაელის მთავრობას, ქორწინებისა და განქორწინების საკითხში რაბინული კოდექსი სამოქალაქო კანონით ჩაანაცვლოს. ისრაელის როგორც მორწმუნე, ისე არამორწმუნე მოქალაქეებს, როგორც ჩანს, უნდოდათ, შერეულ ქორწინებათა ამკრძალავი კანონი მიე-

ლოთ; ძირითადად ამავე მიზეზით, ისრაელის ოფიციალური პირები გულწრფელად აღიარებდნენ სასამართლოს გარეთ, რომ თვითონაც ერთსულოვნად წინააღმდეგი იყვნენ წერილობითი კონსტიტუციისა, რომელშიც ეს უხერხული კანონი ჩაინერგებოდა („სამოქალაქო ქორწინების საწინააღმდეგო არგუმენტი ისაა, რომ ის გახლეჩს ისრაელის მოსახლეობას და, ასევე, ერთმანეთისგან გამიჯნავს ამ ქვეყნის ებრაელებსა და დიასპორის ებრაელებს“ – დანერა ამას წინათ „Jewish Frontier“-ში ფილიპ გილონმა). რა მიზეზებიც უნდა ვივარაუდოთ, საოცარია გულუბრყვილობა, რომლითაც პროკურორი ადანაშაულებდა ნიურნბერგის 1935 წლის ყბადაღებულ კანონებს, რომელთა ძალითაც აკრძალული იყო ქორწინება და სქესობრივი ურთიერთობა ებრაელებსა და გერმანელებს შორის. უფრო მეტად ინფორმირებულ ჟურნალისტებს კარგად წარმოედგინათ ამ სიტუაციის მთელი ირონია, მაგრამ რეპორტაჟებში ამის შესახებ არაფერს წერდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ახლა დროული არ იქნებოდა მსჯელობა მათი ქვეყნის კანონებისა და ინსტიტუტების არასრულყოფილებაზე.

თუკი სასამართლო პროცესის დროს დამსწრე საზოგადოებას მთელი კაცობრიობა უნდა წარმოედგინა, აქ გათამამებულ პიესას კი – ებრაელების უბედურებათა ფართო პანორამა, რეალობამ მოლოდინი და მიზნები არ გაამართლა. ჟურნალისტები მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში შეადგენდნენ აუდიტორიის უმრავლესობას, მერე კი მაყურებელთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ივარაუდებოდა, რომ დარბაზში ისხდებოდნენ ისრაელის ძალზე ახალგაზრდა მოქალაქეები, რომლებსაც არც ისე კარგად ეცოდინებოდათ თავიანთი ქვეყნის ისტორია, ან კიდევ – აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელები, რომლებიც ამ ისტორიას სრულიად არ იცნობდნენ. პროცესს უნდა გამოეაშკარავებინა, რას ნიშნავს ცხოვრება არაებრაელთა შორის, უნდა დაერწმუნებინა აუდიტორია, რომ ებრაელს მხოლოდ ისრაელში შეუძლია უხიფათოდ და ღირსეულად ცხოვრება (კორესპონდენტებს საგანგებოდ გამოცე-

მულ ბუკლეტში განუმარტეს ისრაელის იურიდიული სისტემა. მისი ავტორი, დორის ლანკინი, იმონებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, ორ მამას, „რომლებმაც მოიტაცეს და ძალმომრეობით წაიყვანეს თავიანთი შვილები ისრაელში“, ებრძანა, დაებრუნებინათ ბავშვები დედებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ და შვილების აღზრდის იურიდიული უფლება ჰქონდათ. ეს, დასძენს ავტორი – რომელიც არანაკლებ ამაყობს კანონის მკაცრი დაცვით, ვიდრე ბატონი ჰაუზნერი თავისი მზადყოფნით, მსჯავრი დასდოს მკვლელს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მისი მსხვერპლნი არაებრაელები იყვნენ – მოხდა „მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დედებისთვის შვილების დაბრუნებისას უზენაეს სასამართლოს ესმოდა: დიასპორაში ბავშვები მტრულად განწყობილ ელემენტებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაებმებოდნენ“. მაგრამ ახლა დარბაზში თითქმის არც ერთი ახალგაზრდა არ ჩანდა. აქ იყვნენ ებრაელები, მაგრამ არა ისრაელელი ებრაელები, არამედ „ომს გადარჩენილი“ შუახნისა და ხანდაზმული ადამიანები, ევროპელი იმიგრანტები (ჩემნაირები), რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ ყველაფერი, რაც უნდა სცოდნოდათ, არ სურდათ ახალი გაკვეთილების შესწავლა და საკუთარი დასკვნების გამოსატანად არავითარი სასამართლო პროცესი არ სჭირდებოდათ. მონმეს მონმე ემატებოდა, უკვე მოსმენილ შემზარავ ამბებს კი – ახალი ამბები; და ისინი აქ, ადამიანებს შორის, ისხდნენ და უსმენდნენ ისტორიებს, რომელთა მოსმენა გაუსაძლისი იქნებოდა, მთხრობელთან მარტოდმარტო, პირისპირ რომ დარჩენილიყვნენ. და რაც უფრო სრულად ვლინდებოდა „ამ თაობის ებრაელთა უბედური ხვედრი“, რაც უფრო მგზნებარედ ჟღერდა ბატონი ჰაუზნერის რიტორიკა, მით უფრო მკრთალდებოდა და აჩრდილს ემსგავსებოდა მინის ჯიხურში ჩამწყვდეული ფიგურა და ვერც მითითება: „აი, იქ იმყოფება ურჩხული, რომელმაც ყოველივე ეს ჩაიდინა“ – დაუბრუნებდა მას სიცოცხლეს. სასამართლო პროცესის თეატრალური ასპექტი მხეცურად ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმემ გაანადგურა.

სასამართლო მართლაც ნააგავდა სპექტაკლს, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში და დასასრულს, ასევე იმ როლით, რომელსაც მასში შემსრულებელი (მაგრამ არა მსხვერპლი) ასრულებდა. საჩვენებელ პროცესს ჩვეულებრივ პროცესზე მეტად სჭირდება იმის ზუსტი განსაზღვრა, რა მოხდა და როგორ მოხდა. პროცესის ყურადღების ცენტრში, შეიძლება, მხოლოდ ის იმყოფებოდეს, ვინც ეს ყველაფერი ჩაიდინა – ამ მხრივ, ის პიესის მთავარ პერსონაჟს ნააგავს – და თუ ის იტანჯება, თავისი ქმედებების გამო უნდა იტანჯოს და არა იმის გამო, რომ სხვებს ვნება მიაყენა. ეს არავის ესმოდა სასამართლოს თავმჯდომარეზე უკეთ, რომლის თვალწინ პროცესი ნელ-ნელა ემსგავსებოდა ვულგარულ შოუს, „ბედის ანაბარა მიტოვებულ ხომალდს აღელვებულ ზღვაში“. თავმჯდომარე ამოდ ცდილობდა, არ დაეშვა სასამართლოს გადაქცევა კლოუნადად, მაგრამ, რა უცნაურიც უნდა იყოს, ეს ფუჭი მცდელობები, ნაწილობრივ, დაცვის შეცდომების შედეგი იყო. მართლაც, ადვოკატი საკმაოდ იშვიათად დგებოდა ზეზე, რათა შედავებოდა ამა თუ იმ მოწმეს, როგორი შეუსაბამო და უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო მისი ჩვენებები. დოქტორი სერვატიუსი (ყველა ასე მიმართავდა მას) ცოტა უფრო მეტ გაბედულებას იჩენდა, როდესაც საქმე წარმოდგენილ დოკუმენტებს ეხებოდა, ხოლო მის იშვიათ გამოსვლათაგან ყველაზე უფრო შთამბეჭდავი მაშინ ვიხილეთ, როდესაც პროკურორმა სამხილის სახით წარმოადგინა პოლონეთის ყოფილი გენერალ-გუბერნატორისა და ერთ-ერთი მთავარი ნაცისტური დამნაშავეის, ჰანს ფრანკის (ის ნიურნბერგში ჩამოახრჩვეს) დღიური. „მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს. ნახსენებია თუ არა დღიურში მოპასუხის, ადოლფ აიხმანის, სახელი ამ ოცდაცხრა ტომიდან რომელიმეში [სინამდვილეში ოცდათვრამეტი ტომი იყო]?.. ადოლფ აიხმანის სახელი ამ ოცდაცხრა ტომიდან არც ერთში არაა მოხსენიებული... გმადლობთ, შეკითხვები აღარ მაქვს“.

ამგვარად, სასამართლო სპექტაკლად არ ქცეულა, მაგრამ მაინც იქცა შოუდ, რომელიც იმთავითვე ჰქონდა ჩაფიქრებული ბენ-18

გურიონს. უფრო ზუსტად, ეს იყო არა შოუ, არამედ იმ „გაკვეთილები“ დემონსტრაცია, რომლებიც, მისი აზრით, უნდა გაეთავისებინათ როგორც ებრაელებს, ისე არაებრაელებს, როგორც ისრაელელებს, ისე არაბებს, ასევე მთელ დანარჩენ მსოფლიოს. ერთი და იმავე შოუდან სხვადასხვა მაყურებელს სხვადასხვა დასკვნა უნდა გამოეთანა. ბენ-გურიონმა ისინი ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე განსაზღვრა იმ სტატიების სერიაში, რომლებშიც განმარტავდა, რატომ გახდა იძულებული ისრაელი, მოეთაცუებინა ბრალდებული. აი არაებრაული სამყაროსთვის განკუთვნილი შეგონება: „ჩვენ გვსურს, ვაჩვენოთ მსოფლიოს ხალხებს, როგორ მოხდა, რომ ნაცისტებმა დახოცეს მილიონობით ზრდასრული ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ებრაელები იყვნენ, და ერთი მილიონი ბავშვი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ებრაელთა შვილები იყვნენ“. ბატონი ბენ-გურიონის პარტიის, „მაპაის“ ბექდვითი ორგანოს, „Davar“-ის თქმით, „დაე, მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა შეიტყოს, რომ ექვსი მილიონი ევროპელი ებრაელის განადგურების გამო მხოლოდ გერმანელი ნაცისტები არ არიან პასუხისმგებელნი“. და შემდეგ კვლავ ბენ-გურიონის სიტყვებით: „ჩვენი სურვილია, რომ მსოფლიოს ხალხებმა შეიტყონ... და შერცხვეთ“. დიასპორის ებრაელთათვის უნდა შეეხსენებინათ, რომ იუდაიზმი, „რომელსაც ოთხიათასწლიანი ისტორია აქვს, თავისი სულიერი სამყაროთი და ეთიკური ძიებებით, თავისი მესიანისტური მისწრაფებებით“, ყოველთვის უპირისპირდებოდა „მტრულ სამყაროს“; უნდა შეეხსენებინათ, როგორ ამცირებდნენ ებრაელებს, სანამ სამსხვერპლო ცხვრებით სიკვდილისთვის განირაგდნენ და რატომ მოხდა, რომ მხოლოდ ებრაული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეძლეს ებრაელებმა საპასუხო დარტყმების მიყენება. ასე იქცეოდნენ ისრაელელები დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს, სუეცის კრიზისის დროს და თითქმის ყოველდღიურად – საკუთარი ესოდენ მონყვლადი საზღვრების დაცვისას. და თუ ისრაელის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ებრაელთათვის უნდა მიეთითებინათ განსხვავება ისრაელის ჰეროიზმსა და ებრაულ მორჩილებას შო-

რის, ისრაელის მკვიდრთათვისაც არსებობდა საკუთარი გაკვეთილი: „ისრაელის მკვიდრთა იმ თაობას, რომელიც ჰოლოკოსტის შემდეგ გაიზარდა“, ემუქრება კავშირების დაკარგვა ებრაელ ხალხთან და შედეგად – საკუთარ ისტორიასთან. „აუცილებელია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ახსოვდეთ, რა დაემართა ებრაელ ხალხს. გვსურს, რომ ისინი გაეცნონ ჩვენი ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკულ ფურცლებს“. ბოლოს, აიხმანის გასამართლების ერთ-ერთი მოტივი იყო „სხვა ნაცისტების გამოვლენა – მაგალითად, ნაცისტებსა და ზოგიერთი არაბული ქვეყნის ხელისუფლებს შორის კავშირის დადგენა“.

იერუსალიმის საოლქო სასამართლოში ადოლფ აიხმანის მიყვანის მიზეზები მხოლოდ ამით რომ ამონურულიყო, პროცესი, ალბათ, მარცხით დასრულდებოდა. ერთი მხრივ, გაკვეთილები ზედმეტი იყო და, მეორე მხრივ, ნამდვილად შეცდომაში შემყვანი. ანტისემიტიზმი დისკრედიტირებულ იქნა (ჰიტლერის წყალობით), შეიძლება, საბოლოოდ არა, მაგრამ გარკვეული დროით მაინც, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ებრაელებმა უეცრად საოცარი პოპულარულობა მოიპოვეს, არამედ იმის გამო, რომ (ბენ-გურიონის სიტყვები რომ გამოვიყენოთ) ადამიანთა უმრავლესობამ „გაიცნობიერა: ჩვენს ეპოქაში სწორედ ანტისემიტიზმის შედეგია გაზის კამერები და საპნის ქარხნები“. ასევე ზედმეტი იყო დიასპორებში მცხოვრებ ებრაელთათვის განკუთვნილი გაკვეთილი, რომლებსაც იმის გასაზრებლად, რომ მტრულ სამყაროში ცხოვრობენ, სულაც არ სჭირდებოდათ საზარელი კატასტროფა, მათი თანამოძმეების მესამედი რომ გაანადგურა. ანტისემიტიზმის მარადიული და ყველგანმყოფი არსის რწმენა, დრეიფუსის საქმიდან მოყოლებული, სიონისტური მოძრაობის ყველაზე უფრო მძლავრი იდეოლოგიური ფაქტორი გახლდათ; მაგრამ ის იმის მიზეზიც იყო, რომ გერმანიის ებრაულმა თემებმა ჰიტლერის რეჟიმის ადრეულ სტადიებზე ამჯობინეს, მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ნაცისტებთან.